პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 151 (11155) | პარასკევი, 4 ივლისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი მოსკოვში (1-ლი გვერდი).

ახალგაზრდობა — ცხოვრების ფართო გზაზე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სახვითი ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის (მე-2 გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უპასუხებენ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით. — **ი. ბერძენი.** — გავადიდოთ პროდუქტიულობა 100 ჰექტარ სავარგულებზე; **გ. სეხნიაშვილი.** — ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის; **ნ. ჯანჯღავა, გ. ნოდია.** — სვანეთის მთის სოფლის ადამიანთა შრომითი საქმეები; **შ. ჯავახაძე.**—მალაკელ მეცხოველეობის [illegible] **რაია.** — ჩაის ფოთლის [illegible] ტატი; **ხ. ქოჩლაძე.** — [illegible] დაწყვეტილების პასუხად (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე

მძლავრი შემოქმედებითი შრომაა ამ დღეებში გაჩაღებული საკოლმეურნეო სოფლებში. კოლმეურნე გლეხობა, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობას სპეციალისტები უდიდეს აღფრთოვანებას გამოთქვამენ „საველდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული დადგენილების გამო.

სწავლობენ რა კომუნისტური პარტიის ამ ისტორიულ დოკუმენტს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მასში გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის აზრები და გრძნობები. ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ვასილ ცისკარიშვილმა განაცხადა:

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომატეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში გამოხატულია ჩვენი ფიქრები და მასწრაფებანი. დამზადების ახალი წესი სწორად ითვალისწინებს კოლმეურნეობისა და სახელმწიფოს ინტერესებს. იგი ხელს შეუწყობს ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ყველა მშრომელს ცხოვრების გაუმჯობესებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობას წარმატებას.

სკკპ ცენტრალური კომატეტის ივნისის პლენუმის დადგენილებით პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ ახლა მთელი ძალები მოახმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას, მიაღწიონ ამას, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ უთუოდ შეასრულოს სახელმწიფო გეგმები და 1958 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დარგში. ამ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით დაისახა ახალი ამოცანები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

დადგა გადამწყვეტი ეტაპი სოფლის მეურნეობაში პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, ნათესებას დამუშავებასა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში. კახეთის რაიონები უკვე ამთავრებენ პურეულის მოსავლის აღებას, ხოლო ქართლის რაიონებში ახლა ჩაღდება ეს სამუშაოები. მეჩაიეობის რაიონები დღითიდღე აძლიერებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს. მამდინარეობს თავისა და ხილოსის დამზადება. ეს მეტად პასუხსაგები სამუშაოები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ძალებას გონივრულად განაწილებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში არსებული ტექნიკის უკეთესად გამოყენებას, მინდვრებსა და პლანტაციებში შემოქმედებითი შრომის შემდგომ აღმავლობას.

სამწუხაროდ, ყველა რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდი იგრძნობა ერთსულოვანი დარაზმულობა და მონდომება. ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ პურეულის აღებაში ზოგან ტექნიკა შეფერხებებით მუშაობს, დანაკარგებას წინააღმდეგ ზომებს არ ეღებენ, შეუწყნარებლად აჭიანურებენ სეზონდისა და სხვა სათოხნი კულტურების დამუშავებას, ბუნებრივი და ნათესი ბალახების აღება-დამზადებას, სილოსის ჩადებას. ზოგიერთ რაიონში უგულებელყოფენ პურეულას პროგრესული მეთოდით — ორ ფაზად აღებას, რის გამო მნიშვნელოვნად იზრდება დანაკარგები.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია გარდაბნის, სიღნაღის, თეთრი წყაროს, კასპის, დუშეთის და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების გულგრილობა თივისა და სილოსის დამზადებას ვალდებულებათა შესრულებაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის ბრძოლა მოითხოვს მიწათმოქმედების კულტურის გადაჭრით ამაღლებას. თვითეულ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა ვნერგავდეთ მეურნეობის მართვის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი და პასუხისმგებლობა კოლმეურნეობების მდგომარეობისათვის. ესინი მოვალენი არიან ძირითადი ყურადღება მიაქციონ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც საკუთარი ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები აქვთ, გაუწაონ მათ ქმედითი პრაქტიკული დახმარება ახლებურად მუშაობის მოწყობაში. ამასთან პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ ეკონომიურად ჯერ კიდევ სუსტი კოლმეურნეობები და უფრო ქმედითად, კონკრეტულად დაეხმარონ მათ.

საველდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესი, ფასები და პირობები ახალ დიდებულ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მათ საფუძველზე მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი ძალით აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს და მოუწოდებენ მათ ძალღონის დაუზოგავად იშრომონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, თავიანთი მოწონავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, როგორც ყოველთვის, ახლაც ღირსეულად შეასრულებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს და უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

ГАИЗНЕНА САКАРТВЕЛОС ПЕДИАТРТА ГРИЛОБА

2 ივლისს საღამოს თბილისში გაიხსნა საბავშვო ექიმთა პირველი რესპუბლიკური ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის, ხარკოვისა და დონის როსტოვის პედიატრები.

პირველი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დ. მამამთავრიშვილმა. შემდეგ ყრილობამ მოისმინა პროფესორ მ. ულრელიძის მოხსენება „ქართული პედიატრიის ისტორიისათვის“. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა პედიატრმა პროფესორმა ა. სიჭინავამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა რესპუბლიკაში 1957 წელს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების მდგომარეობის საკითხს. ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა ა. ყანჩელმა.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. დუმბაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი მოსკოვში

2 ივლისს დღის მეორე ნახევარში ამხანაგმა ანტონინ ნოვოტნიმ ვიზიტები გაუკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს. პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს. თვალსაჩინო მოღვაწეები. ვიზიტების დროს გაამართა გულითადი, მეგობრული საუბრები.

შემდეგ პრეზიდენტი და მასთან ერთად ჩამოსული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის სახელით მიტანეს გვირგვინები. ერთი მათგანის ლენტზეა წარწერა: უკვდავ რევოლუციონერს და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადს ვ. ი. ლენინს. მეორე გვირგვინზე წარწერილია: დიდ მარქსისტ-ლენინელს და სოციალიზმისათვის მებრძოლს — ი. ბ. სტალინს.

* * *

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი 3 ივლისს კრემლში შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი რუდოლფ ბარაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სლოვაკიის რწმენებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა კ. ე. ვოროშილოვმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, პ. ნ. პოსპელოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. კუზმინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინმა.

საუბრის დროს, რომელმაც ძმური ერთიანობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი პრობლემა.

დღისით ამხანაგმა ა. ნოვოტნიმ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ ანტონინ ნოვოტნისთან ერთად იყვნენ პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელნიც მას ჩამოჰყვნენ.

საუზმემ განსაკუთრებულ გულითადად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა. ამხანაგებმა ა. ნოვოტნიმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საქდესი).

ახალგაზრდობა — ცხოვრების ფართო გზაზე

თბილისის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საღამო ორჯონიკიძის სახელობის პარკში

უჩვეულო გამოცოცხლება იყო 8 ივლისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ორიოდე დღის წინათ აქ ახალგაზრდობის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი გაიმართა. პარკი ისევ მრავალფერად არის მორთული. ახლა აქ ახალგაზრდობას ახალი სიხარული ელოდება: ქალაქის საზოგადოებრიობა შეხვედრას უწყობს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებს. საღამოს 8 საათისათვის თავი მოიყარეს იმათ, ვინც ქ. თბილისის სკოლებიდან მე-10 და მე-11 კლასები დაამთავრა. მიიღეს რა სიმწიფის ატესტატი, ისინი ახლა დიდი ცხოვრების სტარტზე დგანან. ამ საღამოს აქ შეიკრიბნენ, რათა ერთმანეთს მიულოცონ სკოლის წარმატებით დამთავრება, ისაუბრონ, იმსჯელონ, გადაწყვიტონ, სად უფრო საჭიროა მათი მარჯვენა, სად უფრო გამოადგებიან სამშობლოს.

პარკის ცენტრალური დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აქ არიან კურსდამთავრებულნი, მათი მშობლები და მახლობლები, ქალაქის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. მოხულან ისინიც, რომლებმაც შარშან დაამთავრეს საშუალო სკოლა და ახლა ქალაქის საწარმოებში მუშაობენ. მათ ხერთ თავიანთი ცხოვრების შესახებ მოუთხრონ მეგობრებს.

საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ს. გამრეკელი.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. ამბ. ჯიბლაძემ მიულოცა შეკრებილთ საშუალო სკოლის დამთავრება. ილაპარაკა იმ უდიდეს პერსპექტივებზე, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეშია დასახული.

ახალგაზრდებს მისახალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩოგოვაძემ.

22-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ვ. მუნჯიშვილმა ხურვალი განაცხადა სიმწიფის ატესტატით წავიდეს წარმოებაში, ამასთან დაუსწრებლად განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტმა კ. ვაჩეიშვილმა მეგობრებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ საქმიანობას თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის. ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორმა ი. ზერეკიძემ ილაპარაკა იმ გულიხმიერებაზე, რომლითაც ქარხნის მთელი კოლექტივი ეკიდება ახალგაზრდა მუშებს, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთი ბედი ქარხნის ცხოვრებას დაუკავშირეს.

— ჩვენი ქარხნის კარი ღიაა თქვენთვის, — მიმართა ახალგაზრდებს ი. ზერეკიძემ, — მოდით, ვიმუშაოთ ერთად, ვამრავლოთ სახალხო დოვლათი. ჩვენ ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ, რომ შესანიშნავი პირობები გქონდეთ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლის განგრძობისათვის.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე თბილისმშენის ტრესტის მმართველმა გ. ქართველიშვილმა, მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშამ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტის საღამოს დასწრებული განყოფილების სტუდენტმა ე. უაჯრიშვილმა, კოტონ-წინდების ფაბრიკიდან ტ. ალექსიშვილმა და სხვებმა.

ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა და ცხოვრების ფართო გზაზე გამოსვლა მიულოცა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ნ. ჭაბრაკიამ.

საღამოს დასასრულს სახელმწიფო ფილარმონიის და პიონერ-მოსწავლეთა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 1 ივლისისათვის

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 1 ივლისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 46,4 პროცენტით. მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 9.795 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში წლიური გეგმის შესრულებამ შეადგინა პროცენტობით:

აფხაზეთის ასსრ	— 49,9	ქუთაისის	„	— 50,0	წალენჯიხის	„	— 45,8
აჭარის ასსრ	— 47,5	წყალტუბოს	„	— 55,9	ჩხოროწყუს	„	— 45,5
მახარაძის რაიონი	— 46,9	ტყიბულის	„	— 55,2	ხობის	„	— 46,2
ჩოხატაურის „	— 44,0	ცხაკაიას	„	— 37,4	თერჯოლის	„	— 69,1
ლანჩხუთის „	— 39,7	აბაშის	„	— 32,6	ზესტაფონის	„	— 46,7
სამტრედიის „	— 45,3	გეგეჭკორის	„	— 41,1	ჭიათურის	„	— 72,5
წულუკიძის „	— 44,3	ზუგდიდის	„	— 46,3	ვანის	„	— 60,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი ნახევარი წლის გეგმის შესრულება 1958 წლის 1 ივლისისათვის

მთლიანად რესპუბლიკაში 1 ივლისისათვის ხორცის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, კვერცხისა — 98 პროცენტით, მატყლისა — 105 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 124 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 109 პროცენტით, ღორის ტყავისა — 86 პროცენტით.

1957 წლის პირველ ნახევართან შედარებით ამ პროდუქტების დამზადებამ და შესყიდვამ შეადგინა: ხორცისამ — 115 პროცენტი, რძისამ — 106 პროცენტი, კვერცხისამ — 107 პროცენტი, მატყლისამ — 103 პროცენტი, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისამ — 114 პროცენტი, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისამ — 109 პროცენტი. შარშანდელზე ნაკლები დამზადდა ღორის ტყავი.

შარშანდელზე გაცილებით უკეთ ხორციელდება მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ინდივიდუალურ ჩამბარებელთაგან. შესყიდულია ხორცი 2.666 ტონით, რძე — 5.028 ტონით, მატყლი — 35 ტონით და კვერცხი — 10.070 ათასი ცალით მეტი, ვიდრე 1957 წლის შესაბამის პერიოდში.

ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის დამზადების პირველი ნახევარი წლის გეგმის შესრულება ასს რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და რესპუბლიკის რაიონებში 1958 წლის 1 ივლისისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით — პროცენტობით:

	ხორცი	რძე	კვერცხი	მატყლი
აფხაზეთის ასსრ	118	110	80	—
აჭარის „	141	116	112	—
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	117	134	100	94
რაიონები:				
ახალქალაქის	102	104	123	104
ბოგდანოვკის	93	125	104	87
ახალციხის	112	112	108	105
ადიგენის	108	116	113	84
ასპინძის	116	131	101	128
ხაშურის	126	100	71	64
ქარელის	117	101	101	91
გორის	131	105	102	49
კასპის	105	101	115	65
ბორჯომის	110	138	107	101
გურჯაანის	155	157	141	111
კაჭრეთის	96	69	72	79
სიღნაღის	92	86	110	74
წითელწყაროს	107	126	138	85
თელავის	107	104	101	110
ახმეტის	106	63	109	176
ყვარლის	112	100	69	52
ლაგოდეხის	153	115	102	61
გარეჯის	104	100	99	114
მცხეთის	105	136	110	104
გარდაბნის	114	133	99	109
მარნეულის	101	95	69	86
ბოლნისის	128	149	113	69
წალკის	72	123	111	88
დუშეთის	116	104	87	138
თეთრი წყაროს	103	86	101	80
საგარეჯოს	68	99	107	110
დმანისის	117	120	118	55
თიანეთის	101	99	75	137
ყაზბეგის	105	115	—	179
ქუთაისის	123	122	107	—
წყალტუბოს	115	127	103	—
სამტრედიის	151	129	91	—
წულუკიძის	124	108	118	—
ვანის	110	102	103	—
მაიაკოვსკის	108	110	106	—
ზესტაფონის	134	100	80	—
თერჯოლის	112	134	102	—
ქ. ჭიათურა	145	92	100	—
ხარაგაულის	126	109	113	—
ორჯონიკიძის	115	104	23	—
ტყიბულის	149	141	121	—
ონის	108	105	111	—
ამბროლაურის	130	123	123	—
ცაგერის	105	101	105	—
ლენტეხის	141	116	—	—
აბაშის	112	128	104	—
ცხაკაიას	106	103	103	—
გეგეჭკორის	123	103	80	—
ზუგდიდის	124	104	103	—
ხობის	103	100	103	—
წალენჯიხის	125	116	111	—
ჩხოროწყუს	93	55	64	—
მახარაძის	111	138	100	—
ლანჩხუთის	110	121	102	—
ჩოხატაურის	159	136	133	—
მესტიის	137	143	—	—
ქ. ფოთი	115	102	100	—

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1958 წლის 1 ივლისისათვის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

დაკავებული ადგილი	რაიონები	საშუალო წველადობა კილოგრამობით: 1958 წლის 1 ივლისისათვის	1957 წლის 1 ივლისისათვის	+ მატება — კლება
1.	ბათუმის	1.218	1.155	+ 63
2.	დმანისის	1.031	895	+136
3.	წალკის	1.016	932	+ 84
4.	ბოგდანოვკის	926	957	— 31
5.	ქობულეთის	900	819	+ 81
6.	საგარეჯოს	889	890	— 1
7.	გურჯაანის	878	795	+ 83
8.	მახარაძის	826	702	+124
9.	ბოლნისის	823	683	+140
10.	ასპინძის	821	671	+150
11.	გარეჯიის	766	778	— 2
12.	წითელწყაროს	771	716	+ 55
13.	ახალქალაქის	776	709	+ 57
14.	მცხეთის	701	719	— 18
15.	გარდაბნის	696	548	+148
16.	ტყიბულის	657	493	+164
17.	თეთრი წყაროს	634	705	— 71
18.	მარნეულის	633	596	+ 37
19.	სტალინირის	623	590	+ 33
20.	ზნაურის	617	582	+ 35
21.	გორის	610	559	+ 51
22.	სიღნაღის	607	502	+105
23.	ბორჯომის	605	603	+ 2
24.	თერჯოლის	602	500	+102
25.	წყალტუბოს	589	452	+137
26.	ლაგოდეხის	577	473	+104
27.	თელავის	571	573	— 2
28.	თიანეთის	570	510	+ 60
29.	დუშეთის	566	557	+ 9
30.	ჭავის	556	451	+105
31.	კაჭრეთის	550	478	+ 72
32.	ახმეტის	542	516	+ 26
33.	ქარელის	542	538	+ 4
34.	აბაშის	533	488	+ 45
35.	ორჯონიკიძის	531	481	+ 50
36.	ონის	518	509	+ 9
37.	ადიგენის	511	434	+ 77
38.	ყვარლის	506	459	+ 47
39.	ქუთაისის	502	430	+ 72
40.	ახალციხის	501	497	+ 4
41.	ხარაგაულის	491	414	+ 77
42.	სამტრედიის	483	433	+ 50
43.	ჩოხატაურის	479	479	
44.	ცხაკაიას	477	338	+139
45.	გაგრის	477	461	+ 16
46.	ხაშურის	471	467	+ 4
47.	ზუგდიდის	470	455	+ 15
48.	ლენინგორის	470	466	+ 4
49.	ზესტაფონის	467	369	+ 98
50.	ამბროლაურის	463	392	+ 71
51.	კასპის	456	448	+ 8
52.	წულუკიძის	456	268	+188
53.	მესტიის	455	486	— 31
54.	ლანჩხუთის	454	318	+136
55.	ცაგერის	446	430	+ 16
56.	გალის	403	335	+ 68
57.	ქედის	401	349	+ 52
58.	წალენჯიხის	399	347	+ 52
59.	ოჩამჩირის	395	388	+ 7
60.	გულრიფშის	391	279	+112
61.	სოხუმის	385	322	+ 63
62.	ვანის	385	346	+ 39
63.	ხულოს	384	394	— 10
64.	ხობის	382	316	+ 66
65.	ყაზბეგის	380	360	+ 20
66.	გეგეჭკორის	380	328	+ 52
67.	ჭიათურის	373	317	+ 56
68.	ლენტეხის	366	333	+ 33
69.	მაიაკოვსკის	353	279	+ 74
70.	ჩხოროწყუს	351	296	+ 55
71.	გუდაუთის	346	285	+ 61
72.	შუახევის	310	328	— 18

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

საკუთარი ტექნიკა—ყანებში

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). ასეთი ყანები კარგა ხანია არ ახსოვთ ახალულიანოვკელ კოლმეურნეებს. მოსავალიც არის და მოსავალიც. საკოლმეურნეო მინდვრებზე ზღვასავით ღელავს სრულ სიმწიფეში შესული ყანა. ამ ცხარე დღეებში გამრჯე კოლმეურნეებს, კოლმეურნე მექანიზატორებს და მათს ხელმძღვანელს ევგენი დუკმასოვს ერთი წუთითაც ვერ ნახავთ მოცლილს. შინ თითქმის არავინ არ რჩება დღისით. დიდი და პატარა გამოსულა მინდვრად ხორბლის უხვი მოსავლის ათ დღეში უდანაკარგოდ აღებად.

ათასი ჰექტარი ყანის მომკა არცისე იოლი საქმეა. კომბაინები ორ ცვლად მუშაობაზეა გადაყვანილი. თვითეული მათგანი დღეში მკის 20-25 ჰექტარს. ხორბლის დიდ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე ღებულობენ 22-25 ცენტნერ მარცვალს.

— ჩვენს კოლმეურნეებს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დუკმასოვი, — გაწეული შრომა უხვად აუნაზღაურდათ. შარშან თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 4 კილოგრამი მარტო ხორბალი, აგრეთვე კოლმეურნეებმა მიიღეს სიმინდი, მეცხოველეობის პროდუქტები. ფულადი ანაზღაურება. ამას წინათ კოლმეურნეობამ კოოპერაციას ორასი ტონა ხორბალი მიჰყიდა. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის ეკონომიკა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება. ამის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება.

საქართველოს სახვითი ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის

საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობა

საბჭოთა სახვითი ხელოვნება ხალხს ემსახურება. ჩვენს მხატვრებს, რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ძვირფასი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენი ხელოვნების შემოქმედებითი ძალები დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებზე პარტიის საპროგრამო დოკუმენტი გახდა.

სახვითი ხელოვნების მუშაკთა გულში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკის“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“. ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი კვლავ ადასტურებს პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ზრდისათვის.

საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობამ, რომელმაც დიდი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო, რომ რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატები მზად არიან უფრო ბეჯითად და ნაყოფიერად იმუშაონ იმ ამოცანების განხორციელებაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა ხელოვნების მუშაკებს.

ყრილობაზე მოისმინეს და განიხილეს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება და თანამოხსენებანი ქართული საბჭოთა ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება. მომხსენებლები — საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **უ. ჯაფარიძე**, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრები **ა. ქუთათელაძე, ვ. თოფურიძე**, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **დ. გაბაშვილი**, მხატვარი **ი. მამალაძე** და კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიერ შესრულებულ მუშაობაზე, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივებსა და უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით პრობლემებზე.

სამ წელიწადში, რამაც საქართველოს მხატვართა წარსული მესამე ყრილობის შემდეგ განვლო, ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მოხდა მთელი რიგი დიდი ამბები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაზე. გაიმართა მხატვართა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, გაიხსნა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა. საქართველოს მხატვართა ნაწარმოებებმა, რომლებიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე, საზოგადოებრიობისა და პრესის მაღალი შეფასება მიიღეს.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის ნამდვილი დღესასწაული იყო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. ჩვენი მხატვრების მონაწილეობა დეკადაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა საქართველოს სახვითი ხელოვნების განვითარების გზაზე.

საანგარიშო პერიოდს ახასიათებს რესპუბლიკის მხატვრული ცხოვრების შესამჩნევი გამოცოცხლება. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა მრავალი გამოფენის მოწყობით, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრიობას აცნობენ როგორც საქართველოს, ისე მოძმე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებას.

მნიშვნელოვნად გაიზარდნენ საქართველოს მხატვართა რიგები. მათი კოლექტივი აერთიანებს 400 კაცს.

მოხსენებასა და თანამოხსენებებში დასახელებული იყო ფერმწერთა ნაწარმოებნი, რომლებიც თვალსაჩინოა შინაარსითა და ოსტატობით. აღინიშნა ნაყოფიერი ძიება პეიზაჟური ჟანრის დარგში.

მიღწეულია წარმატება ქართველ მოქანდაკეთა მუშაობაში. გასულ სამ წელიწადში მათ შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებნი. ამაღლდა ქართველ გრაფიკოსთა პროფესიული დონე. მათი ნაშრომები გამოირჩევა ჟანრობრივი სხვადასხვაობით, ხატვის მანერის სიუხვით. შესამჩნევია საქართველოს თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მიღწევები.

ყრილობის დელეგატები განიხილავდნენ საქართველოს სახვითი ხელოვნების მდგომარეობას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მიღწეულ წარმატებებთან ერთად მის განვითარებაში კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ქართული სახვითი ხელოვნება ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც ხელოვნებას უყენებს კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის მთელი მიმდინარეობა.

რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედების ძირითადი ნაკლი წინანდებურადვე არის თემატიკის სიღარიბე. თანამედროვეობის ბევრმა თემამ და სახემ, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს აღელვებენ, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს სათანადო გამოსახულება მხატვართა ნაწარმოებებში. მათ საკმაოდ ვერ შექმნეს ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის ნაწარმოებნი, მიძღვნილნი კომუნისტური მშენებლობის ჰეროიკისადმი, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა სახეებისადმი, ხალხთა მეგობრობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის თემებისადმი.

ყრილობაზე ილაპარაკეს მხატვრული შემოქმედების დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებზე. გამოითქვა აზრი, რომ უნდა გაგრძელდეს ქართველი ფერმწერების მიერ აღებული გზა — მკაფიო იდეური შინაარსით გამსჭვალული დიდი თემატური სურათების შექმნის გზა. ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა უფრო ფართოდ განვითარდეს პორტრეტული და საყოფაცხოვრებო ჟანრი.

მთელი რიგი სერიოზული ამოცანები უნდა გადაწყვიტონ მოქანდაკეებმა. კერძოდ, მათ მეტი უნდა იმუშაონ მრავალფიგურიან კომპოზიციებზე, რადგან ერთფიგურიანი გამოსახულებით ყოველთვის არ ხერხდება დიდი თემის ჩვენება. უნდა გაუმჯობესდეს დეკორაციული სკულპტურის მდგომარეობა. ჩვენს პარკებს, ბაღებს, მოედნებს ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებები უნდა ამშვენებდნენ.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დიდი მუშაობა უნდა შეასრულონ გრაფიკოსებმა. ნაკლოვანებანი განსაკუთრებით შესამჩნევია დაზგურ გრაფიკაში: ჯერ კიდევ საკმარისი არ არის თანამედროვე თემებზე შექმნილი ნაწარმოებნი, იგრძნობა მთელ რიგ ნამუშევართა იდეური მოუმწიფებლობა. ეს მხცოვან ოსტატთა ცალკეულ ნაწარმოებსაც კი ატყვია. ცოტაა სრულფასოვანი ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცხოვრებას.

ყრილობის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გულმოდგინედ დაიცვან საბჭოთა ხელოვნების იდეური სიწმინდე, არ დაუშვან რომ საბჭოთა ხელოვნებაში შეაღწიოს რაიმე უცხო ტენდენციამ და გავლენამ.

ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდისადმი არასაკმაო ყურადღების ატმოსფეროში თუ წარმოიშობოდა, მაგალითად, ისეთი მოვლენები, როგორიც არის ზოგიერთი ახალგაზრდა ქართველი ფერმწერის უცნაური გატაცება ფრანგი ჰუანტილისტების ხერხებით, რომლებიც დიდი ხანია დავიწყებულია.

ამავე დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს მოვლენათა მხატვრულ ასახვას მათი ტიპიური ფორმით, ღრმად ჩაწვდომას ამ მოვლენათა არსში და არა მათს ზერელე, ოქმურ ჩვენებას. ეს გასაღებს ხდის მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობისადმი ისეთი მიდგომის უსაფუძვლობასაც, რაც არსებობს მხოლოდ ლიტონი მისწრაფება — შთაბეჭდილებას მივაღწიოთ გარეგანი მიახლოებით, სიმართლის მიმსგავსებით, რაც განუხრელად იწვევს უბრალო ხელოსნობას, ხელოვნების ნაწარმოებს ართმევს საჭირო ამაღლებულობას, აზრებისა და გრძნობების სიღრმეს.

ჩვენ გვესაჭიროება სხვადასხვა შემოქმედებითი მანერის მხატვრები, რომელთაც ძლიერ უყვართ საბჭოთა სინამდვილე, შთაგონებით ასახავენ ჩვენს დღეგანლილ დღეს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ვ. კეშელავამ** თავის სიტყვაში თქვა:

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ქართული სახვითი ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის, ჩვენს შემოქმედებითს პრაქტიკაში სოციალისტური რეალიზმის დიადი პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ორატორმა აღნიშნა, რომ სამხატვრო გამოფენების გაცნობის დროს ხშირად კაცს თვალში ეცემა ის ფაქტი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ მდიდარი არა ვართ თემატური ნაწარმოებებით, ხოლო ზოგიერთი ნაწარმოები პროფესიულად სუსტად არის შესრულებული. ამხ. ვ. კეშელავას მიაჩნია, რომ სურათის დაწყებასა და შექმნაში, რომელზეც ესა თუ ის ფერმწერი მუშაობს, გარკვეული როლი უნდა შეასრულოს მხატვართა კოლექტივმა შემოქმედებითი განხილვის, რჩევა-დარიგების, კონსულტაციების გზით.

ქართული საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების წარმატებებზე ილაპარაკეს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა **დ. თავაძემ** და **კ. კუკულაძემ**. თეატრის მხატვრები, ისევე როგორც დაზგური ფერწერის მხატვრები, იბრძვიან მართალი, იდეურად სრულფასოვანი, მხატვრულად გამომსახველი ხელოვნებისათვის. მათი აქტუალური ამოცანაა თანამედროვე თემებზე პიესების დადგმის გაფორმების იდეური და მხატვრული დონის ამაღლება. ორატორებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს დახმარება რესპუბლიკის პერიფერიული თეატრების მხატვრებისადმი შემოქმედებით ზრდაში. უფრო ხშირად უნდა გაიმართოს დისკუსია, მათ ნამუშევართა განხილვა.

დეკორაციულ - გამოყენებითი ხელოვნების საარსებო პრობლემებს შეეხნენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი **დ. ციციშვილი**, და მოქანდაკე **რ. შეროზია**. მათ გააკრიტიკეს საქართველოს მხატვართა კავშირი იმის გამო, რომ ჯეროვნად არ აფასებს ხელოვნების ამ დარგს. მათ გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები ნაკლებად იწვევენ მხატვრებს პროდუქციის გასაფორმებლად. მაგალითად, ცხაკაიას ხალიჩის ფაბრიკას სამი წლის განმავლობაში არ ჰყოლია მხატვარი. ამას ის მოჰყვა, რომ ფაბრიკა უშვებდა მოძველებული ნახატებისა და უშნო გაფერადების ხალიჩებსა და საფენებს.

მომწიფდა გამოყენებითი ხელოვნების მაღალკვალიფიციურ ოსტატთა მომზადების საკითხი, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ამოცანაა.

საქართველოს მხატვართა კავშირის კოლექტივისა და განსაკუთრებით მისი დეკორაციული ხელოვნების სექციის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქართული ხალხური ხელოვნების აღდგენასა და განვითარებას.

მოქანდაკე **მ. თალაკვაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წესდებას; რომელიც მხატვართა პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო. ორატორმა გააკრიტიკა მოქანდაკეების ვ. თოფურიძისა და ნ. კანდელაკის ცალკეული, მისი შეხედულებით, სუსტი ნამუშევრები.

დელეგატებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს რესპუბლიკაში პლაკატის ხელოვნების განვითარების საკითხებს. პლაკატისტთა შემოქმედება მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხისა და ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესებთან, პარტიისა და მთავრობის პოლიტიკასთან. საბჭოთა პოლიტიკურმა პლაკატმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო, რომლითაც ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ.

მაგრამ, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, პლაკატის ხელოვნების მდგომარეობა და დონე რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელია, უკანასკნელ სამ წელიწადში სულ 15 პლაკატია გამოშვებული.

— პლაკატების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის — განაცხადა მხატვარმა **ნ. მალაზონიამ**, ბრალი ედებათ როგორც მხატვრებს, ისე გამომცემლობებს, რომელნიც ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს ხელოვნების ამ სახეობის მდგომარეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პლაკატი არა მარტო სახვითი ხელოვნების სახეობაა, არამედ უწინარეს ყოვლისა მასობრივი პარტიული პროპაგანდის უძლიერესი იარაღია.

შემდეგმა ორატორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **კ. სანაძემ** გააკრიტიკა თანამოხსენება ფერწერის შესახებ, აღნიშნა, რომ იგი საკმარისად პრობლემური არ იყო.

— კომუნისტური პარტია, — თქვა მან, — მოუწოდებს მხატვრებს გაჰყვნენ ცხოვრების სიმართლის გზას, შთაგონება ჰპოვონ ხალხის თავდადებულ ბრძოლაში. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ კავშირი წარმოებასთან, კოლმეურნეობებთან, მოწინავე ადამიანებთან, უკეთ და უფრო ღრმად გავიცნოთ ცხოვრება. საჭიროა ხშირად მოეწყოს შემოქმედებითი მივლინება, რომელიც სინამდვილესთან მხატვრის კავშირის სერიოზული საშუალებაა.

ამხ. კ. სანაძემ ილაპარაკა ცალკეული ჟანრების, კერძოდ, ბატალური ჟანრის ჩამორჩენაზე.

ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატები დგანან დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაჭრის წინაშე. ისინი სანიმუშოდ უნდა მოემზადნენ 1960 წლის სრულიად საკავშირო გამოფენისათვის, რათა სამშობლო გაახარონ ახალი ნაწარმოებებით, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ხელოვნების ღირსი იქნებიან.

მხატვარმა **ე. კალანდაძემ** აღძრა საკითხი ფოტოგრაფიზმის შესახებ ხელოვნებაში. ცხოვრების ფოტოგრაფიულად გულგრილი „მზერა“ მხატვარს სწყვეტს ცხოვრებას და ავიწყებინებს ფერწერის სპეციფიკას. მან მწუხარება გამოთქვა, რომ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებებში მთელი ხმით არ იყო ამაზე ლაპარაკი, მან სამართლიანად გააკრიტიკა მხატვართა კავშირი იმის გამო, რომ იგი იშვიათად აწყობს შემოქმედებით დისკუსიას, სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნაშრომების განხილვას, საუბრებს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაზე.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ე. კალანდაძემ გამოთქვა მთელი რიგი ბუნდოვანი შეხედულებები ხელოვნების თეორიის საკითხებზე.

აჭარაში მომუშავე მხატვართა შემოქმედებითი მოღვაწეობა ყრილობის მონაწილეებს გააცნო **შ. ხოლუაშვილმა**. მან უსაყვედურა საქართველოს დედაქალაქის ფუნჯისა და საჭრისის ოსტატებს, აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეებს, რომ იშვიათად დადიან პერიფერიებში, დახმარებას არ უწევენ ადგილობრივ მხატვრებს.

ყრილობაზე გამოვიდა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პირველი მდივანი **ს. გერასიმოვი**, რომელიც ყრილობის მონაწილეებს მიესალმა მოსკოველი მხატვრების, რუსეთის ფედერაციის მხატვრებისა და სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სახელით. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ქართველი მხატვრები შეადგენენ ჩვენი ქვეყნის სახვითი ხელოვნების მუშაკთა დიდ და ნიჭიერ რაზმს.

ამხ. ს. გერასიმოვმა აღძრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება სახვითი ხელოვნების შემოქმედებით პრაქტიკას. ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების მთავარი ხაზი ის არის, რომ ისინი განუყოფელად იყვნენ დაკავშირებულნი ცხოვრებასთან, რომ სიმართლით ასახავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვანებას.

ამ დიდი ამოცანების დონეზე რომ იყვნენ, საქართველოს მხატვრებმა უნდა შეასრულონ დიდი მუშაობა, ღრმად შეისწავლონ ცხოვრება, აამაღლონ თავისი პროფესიული ოსტატობა. ისინი შეურიგებელნი უნდა იყვნენ მხატვრულ შემოქმედებაში უიდეობისა და ყალბი ნოვატორობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, იბრძოლონ სახვითი ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ბ. სანაკოევმა** ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის მხატვართა მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის უკეთესი პირობები.

საქართველოს სამხატვრო ფონდის მორიგ ამოცანებზე ილაპარაკა თავის სიტყვაში სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის დირექტორმა **ს. ბელკომ**.

აფხაზეთის მხატვართა წარმატება ყრილობას გააცნო **ჯ. კუკულაძემ**. აფხაზი ფერმწერების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების ნაწარმოებნი არაერთგზის იყო ნაჩვენები თბილისის, მოსკოვის გამოფენებზე. მაგრამ მათ ესაჭიროებათ საქართველოს მხატვართა კავშირის, სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატების დახმარება.

ყრილობაზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი **ნ. კანდელაკი**, მხატვარი **ვ. ზარიძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ბ. ულენტი**, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მდივანი **მ. ლორთქიფანიძე**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი მაიორი **დ. მოშნიკოვი**.

ყრილობის დელეგატებს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი **მ. აბდულაევი**, მოძმე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები — ესტონეთისა **ე. ეინმანი** და **ვ. იეესტე**, სომხეთისა — **ს. არუტჩიანი**, აზერბაიჯანისა — **გ. ხალიკოვი**.

ყრილობაზე გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მეჟავანაძემ**, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. იგი ამბობს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს მხატვართა მეოთხე ყრილობისადმი მისალმებაში დააფასა მათი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში, რწმენა გამოთქვა, რომ სახვითი ხელოვნების ქართველი ოსტატები უფრო მეტი აღფრთოვანებით იშრომებენ ჩვენი დიდი ეპოქის ღირსეულ ნაწარმოებთა შექმნაზე.

ყრილობის მუშობამ, მის მონაწილეთა გამოსვლებმა, თქვა ამხ. ვ. მეჟავანაძემ, ცხადყვეს, რომ საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკთა სახით გვყავანან შესანიშნავი ძალები, რომელთაც უნარი შესწევთ გაამდიდრონ ჩვენი სოციალისტური კულტურა.

პარტია დიდად აფასებს ხელოვნების მუშაკებს, მათს როლს ხალხის ცხოვრებაში. ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ მხატვრები გამოიყვანა დიდი სერიოზული შემოქმედების გზაზე, დაეხმარა შეენარჩუნებინათ ხელოვნური ეროვნული თავისებურება, მათი შრომა გახადა სასიხარულო და ხალხისათვის საჭირო.

ამხ. ვ. მეჟავანაძე აღნიშნავს დიდ მუშაობას სახვითი ხელოვნების განვითარებაში, რომელიც საქართველოში გაწეულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამან უზრუნველყო ეროვნული კადრების ზრდა. რესპუბლიკაში შეიქმნა მხატვართა მჭიდროდ შეკავშირებული და მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

საბჭოთა ხელოვნების წარმატებათა საწინდარი ხალხთან მტკიცე კავშირია. უმნიშვნელოვანესმა პარტიულმა დოკუმენტმა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ განსაზღვრა, რომ ხალხის ცხოვრებასთან მხატვრული შემოქმედების კავშირის შემდგომი განმტკიცება, ბრძოლა დიდი რეალისტური ოსტატობისათვის, შეურიგებლობა საბჭოთა მხატვრისათვის ერთადერთი სწორი გზიდან — სოციალისტური რეალიზმიდან ყველა და ყოველგვარი გადახვევისადმი წარმოადგენს ჩვენი მხატვრების შემოქმედების გენერალურ ხაზს.

საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის, შემოქმედი მუშაკებისადმი გულისხმიერი ყურადღების ახალ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკის“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“. ამ პარტიულ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუსიკისათვის, არამედ ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგისთვისაც. პარტია კვლავ მოუწოდებს შემოქმედებით მუშაკებს მტკიცედ იდგნენ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. კვლავაც იყვნენ მისი პრინციპების ერთგულნი, დაიცვან საბჭოთა ხელოვნების იდეური სიწმინდე, დაიცვან იგი რაიმე უცხო ტენდენციისა და გავლენის შეღწევისაგან, შექმნან მაღალიდეური და დიდადმხატვრული ნაწარმოებები.

ამხ. ვ. მეჟავანაძემ ილაპარაკა ქართული საბჭოთა ხელოვნების მიღწევებზე. ქართველ ხალხს, თქვა მან, მდიდარი კულტურული წარსული აქვს. მაგრამ მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში მიაღწია ჩვენმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ძალების ნამდვილ გაფურჩქვნას.

საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები ქართულ სახვით ხელოვნებას, რომელიც განთქმულია შესანიშნავი ტრადიციებით. რუსული რეალისტური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან მჭიდრო კავშირმა ხელი შეუწყო ქართული ეროვნული მხატვრული სკოლის შექმნას. მისი საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ გ. გაბაშვილი, ა. მრევლიშვილი, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე და სხვები. ფასდაუდებელია თბილისის სამხატვრო აკადემიის დამსახურება, რომელმაც ბევრი ნიჭიერი მხატვარი აღზარდა.

სასიხარულოა, რომ ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები უ. ჯაფარიძე, ს. ვირსალაძე, ს. ქობულაძე, ვ. თოფურიძე არჩეული არიან სრულიად საკავშირო სამხატვრო აკადემიაში, რომ მთელ რიგ ჩვენს ოსტატებს, როგორიც არიან ნ. კანდელაკი, ლ. გუდიაშვილი, ა. ქუთათელაძე, კ. მერაბიშვილი, მიენიჭათ საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

უიდეობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში მხატვრებმა საერთოდ შეძლეს დაეძლიათ მათს შემოქმედებაში არსებული ნაკლოვანებანი და მტკიცედ დამდგარიყვნენ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. ამის დამადასტურებელია ქართველი მხატვრების ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოდგენილი იყო დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო გამოფენაზე და გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში გაიხსნა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

მიუხედავად მობოვებული წარმატებისა, ქართული სახვითი ხელოვნება ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვეობის ზრდილ მოთხოვნებსა და საჭიროებას. ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. კრიტიკულად უნდა მივუდგეთ ჩვენს მუშაობას, კომუნისტებისათვის ჩვეული მთელი შეურიგებლობით, პრინციპულობით გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი. კრიტიკა და თვითკრიტიკა ყოველთვის უნდა იყოს საქმიანი, რბილეტური. უნდა შეიქმნას მაღალი, უკომპრომისო მომთხოვნელობის ატმოსფერო, რათა ჩვენი ხელოვნება დავიცვათ უცხო, გამხრწნელი გავლენისაგან. საჭიროა, რომ შემოქმედებით კოლექტივში დაცულ იქნას მტკიცე დისციპლინა და წესრიგი.

ჩვენი მხატვრები მოვალენი არიან მუდამ სრულყოფდნენ თავის ოსტატობას, გაბედულად იჩენდნენ შემოქმედებით ინიციატივას, დაუცხრომლად ეძებდნენ ახალ გზებსა და საშუალებებს მდიდარი და მრავალფეროვანი სინამდვილის მხატვრულ ასახვისათვის.

ყოველ მხატვარს აქვს მოღვაწეობის ფართო ასპარეზი. იგი ღრმად უნდა ჩასწვდეს ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებას: ქალაქი რუსთავი, რომელიც უდაბურ ველში გაიზარდა, გარდაქმნილი ჭიათურა, ჩვენი სოციალისტური სოფელი, ხოლო, რაც მთავარია, საბჭოთა ადამიანი—ახალი ცხოვრების მშენებელი და მისი მაღალი გრძნობები და მისწრაფებანი, მისი მაღალი მორალი და იდეურობა, — რა დაუშრეტელი მასალაა მხატვრის შემოქმედებისათვის!

მხატვართა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა და კულტურის სამინისტრომ. მომთხოვნელობასთან ერთად მათ მეტი ყურადღება და ზრუნვა უნდა გამოიჩინონ შემოქმედებითი მუშაკების საჭიროებისათვის. უნდა შეიქმნას პირობები მხატვრების, განსაკუთრებით პერიფერიებში მომუშავე მხატვრების შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რათა მათ შეძლონ თავისი ოსტატობის ამაღლება, ჰორიზონტის გაფართოება.

პასუხსაგები ამოცანა აკისრიათ ხელოვნებათმცოდნეებს, კრიტიკოსებს. მათ გარკვეული დადებითი მუშაობა შეასრულეს მიღწევათა პოპულარიზაციაში, მხატვრული შემოქმედების თეორიისა და პრაქტიკის მთელი რიგი საკითხების შესწავლასა და დამუშავებაში, მაგრამ გაკეთებული საკმარისი არ არის. საჭიროა გაძლიერდეს ეს მუშაობა.

გაუმჯობესებას მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა შემოქმედ მუშაკთა შორის. უნდა ითქვას, რომ მხატვართა კავშირში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იგრძნობა პარტიული ორგანიზაციის ავანგარდული როლი. საჭიროა ძირეულად გარდაიქმნას მუშაობა ამ მიმართულებით. პარტიული ორგანიზაცია მოვალეა აამაღლოს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე მხატვართა შორის, უზრუნველჰყოს მათს კოლექტივში ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო, უფრო ფართოდ გააჩაღოს კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მხატვართა კავშირისა და მისი პარტიული ორგანიზაციის წინაშე, ამბობს დასასრულ ამხ. ვ. მეჟავანაძე, დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები. 1960 წელს რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მუშაკებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენაში, ხოლო 1961 წელს ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. მხატვრები სათანადოდ უნდა მოემზადნენ ამ ღირსშესანიშნავი ამბებისათვის, წინასწარ გააჩაღონ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა.

ყრილობამ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მუშობა დამაკმაყოფილებლად სცნო. დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი აყვავება.

არჩეული არიან საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობა და პრეზიდიუმი. გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია **უ. ჯაფარიძე**. (საქდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უპასუხებენ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით

★ ★

გავადიდოთ პროდუქტიულობა 100 ჰექტარ სავარგულებზე

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ თანამედროვე პირობებში საჭიროა უარი ვთქვათ დამზადების ფორმების ჩამოყალიბებულ სმრავლეზე, როგორიც არის საკალდებულო ჩაბარება, ნატურანაზღაურება, კონტრაქტაცია, შესყიდვა და გადავიდეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო დამზადების ერთიან ფორმაზე. ამჟამად კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, მათმ ნატურალური და ფულადი შემოსავალი უფრო გაიზარდა და შესაძლებლობა მიეცათ შეიძინონ რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ახლა უკვე შეიქმნა მაპირობები გავაუქმოთ სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარება, ნატურალური ანაზღაურება და გადავიდეთ იმაზე, რომ კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდონ პროდუქტები ერთიან ფასებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ ახალ სტიმულს მისცეს ჩვენს კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან დადგენილებებს საქმით უნდა ვუპასუხოთ. საჭიროა აქტიურად ვიბრძოლოთ პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

შარშან ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე გაზარდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად გაზარდეს წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლისა და სხვა რაიონებმა.

ცნობილია, რომ რძისა და ხორცის წარმოების შემდგომი გადიდების პირობას, პირუტყვის ჯიშიანობასა და პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად, სულადობის ზრდა შეადგენს. შარშან რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დიდად გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა. ამასთან ერთად ზოგიერთ რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სულადობა. ეს პირველ რიგში ითქმის ქარელის, მარნეულის, დუშეთის, წყალტუბოს, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხაშურის და სხვა რაიონებზე. ქარელის რაიონში შარშან, წინა წელთან შედარებით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 732 სულით შემცირდა, დუშეთის რაიონში — 611 სულით, ცხაკაიას რაიონში — 716 სულით და სხვ.

რესპუბლიკაში ძროხების საშუალო წველადობა შარშან, წინა წელთან შედარებით, 16,6 პროცენტით გადიდდა, ძროხის რძის საერთო წარმოება კი 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე — 15,4 პროცენტით.

ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე შარშან ძროხის რძის წარმოება მნიშვნელოვნად გაზარდეს ბოგდანოვკის, გურჯაანის, მახარაძის, ჩოხატაურის, მცხეთის რაიონებმა და აჭარის ასსრ რაიონებმა.

ამასთან ერთად ზოგიერთ რაიონში 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ძროხები მცირე რაოდენობით ჰყავთ და, რაღა თქმა უნდა, რძის წარმოებაც მცირეა. ჩხოროწყუს, კასპის, ქარელის, სიღნაღის, დუშეთისა და ლენტეხის რაიონებში ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ძროხების რაოდენობა 3-დან 6-მდეა. შარშან სიღნაღის რაიონში ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე 3 ძროხა ჰყავდათ, ხოლო რძე 29 ცენტნერი მიიღეს, ლენტეხის რაიონში კი 4 ძროხა ჰყავდათ და 27 ცენტნერი რძე მიიღეს. ამ რაიონების ხელმძღვანელები მიმდინარე წელსაც არ ფიქრობენ პირუტყვის სულადობის გადიდებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დანახარჯები მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ დიდია. ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 696 ლიტრი რძე მიიღეს, ყოველ 1.000 ლიტრი რძის წარმოებაზე დაიხარჯა 1.245 მანეთი და 30 კაპიკი, ხობის რაიონში — 1.072 მანეთი, ვანის რაიონში — 1.068 მანეთი და 70 კაპიკი. პროდუქციის ერთეულის წარმოება ძვირი დაჯდა აგრეთვე ჭიათურის, ზესტაფონის და სხვა რაიონებში.

ახლა, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესი იქნა მიღებული და მნიშვნელოვნად გადიდდა შესასყიდი ფასები, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის საქმეს და პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგების რენტაბელობას.

საქართველოს კოლმეურნეების, მექანიზატორების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საპატიო ამოცანაა საამაყო მაჩვენებლებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს.

ი. ბერძენი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.



ბელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ კომბაინერი ხ. გიგოლაშვილი პურეულს მკის „სკ-3“ მარკის კომბაინით. ფოტო მ. თელიაშვილისა.

ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ფ. გამჯაშვილი თავდადებული შრომის მაგალითს იძლევა, პირნათლად ასრულებს პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. წელს გეგმით ერთ საფურაქე ძროხაზე უნდა მიიღოს 3.800 ლიტრი რძე, უკვე მიიღო 3.000 ლიტრი. მისი ვალდებულება 5.000 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს.

— გულდასმით გავეცანი, — თქვა გამჯაშვილმა, — საბჭოთა მთავრობის დიდმნიშვნელოვან დადგენილებას სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ. ჩვენს წინ გადაშლილია მუშაობის ნათელი პერსპექტივები. პირობას ვიძლევი ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ სამშობლოს მივცეთ მეტი რძე, ხორცი, კარაქი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

საბჭოთა მთავრობის დადგენილების პასუხად სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ხ. ბეროშვილმა ვალდებულება იკისრა პურეულის აღების ყოველდღიური დავალება გადაჭარბებით შეასრულოს. მან გუშინვე სიტყვა საქმედ აქცია, დღიური დავალება ორმაგად შეასრულა.

რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დღითიდღე ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს.

სვანეთის მთის სოფლის ადამიანთა შრომითი საქმეები

ორას ორმოცდათორმეტი კომლი ცხოვრობს მესტიის რაიონის სოფელ ლატალში. კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითად წყაროს საზოგადოებრივი მეცხოველეობა წარმოადგენს. იგი წლითიწლამდე აღმავლობას განიცდის. კოლმეურნეობას 728 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს, აქედან 206 ძროხაა. ლატალელების პირუტყვი ანდერიანის ნაზაფხულა სამოვარზე იმყოფება. ფერმის გამგე ([illegible]ენ ფირცხელანი, ბრიგადირი ბიძინა კვანტიანი, აღმრიცხველი თამარ გირგვლიანი გვიყვებიან მეცხოველეთა შრომითს წარმატებებზე, ახალ აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

— ჩვენთან, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზოლტექნიკოსი გიორგი კვანტიანი, — ადგილობრივი ჯიშის პირუტყვია. მაგრამ მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით პროდუქტიულობის გადიდებას ვაღწევთ.

თავმჯდომარის სიტყვებს უფრო ამტკიცებს ფაქტები. მარჯვენას უქიდია ახალგაზრდა მწველავს მარიამ ფარჯიანს. იგი 13 ძროხას უვლის და გეგმით თვითეულ საფურაქე ძროხაზე უნდა მიიღოს 950 ლიტრი რძე, ეძყვ თვეში მიღებული აქვს 700 ლიტრზე მეტი და დაბეჯითებით ამბობს, რომ მიიღებს 1.300 ლიტრს. მას გვერდს უმშვენებს რისი გურგულიანი, რომელიც ოთხი წელია ფერმაში მუშაობს. თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე მიიღო 730 ლიტრი რძე, ნამატიც მთლიანად შეინარჩუნა.

ამ მოწინავე მწველავს აკვიბრება კომკავშირელი კაში ფარჯიანი, რომელიც კენერგიულად იბრძვის პირველობისათვის. მათი მაგალითისამებრ ფერმაში სამუშაოდ მრავალი ახალგაზრდა სვანი მოვიდა. მარგარიტა წერეთელიანმა, ლიანა ფარჯიანმა საშუალო სკოლა დაამთავრეს და მწველავებად დაიწყეს მუშაობა. შრომაში მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებენ კომკავშირელები მაშო ჩამგელიანი, თინა ფირცხელანი, აჭთანდილ თამლიანი, ძინა წერეთელიანი, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულები ზაქრო და შოთა კვანტიანები, ივანე ფარჯიანი, გერონტი ფარჯიანი და სხვები.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.
მესტია.

★ ★

მაღლაკელ მეცხოველეთა მიღწევები

სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველწლიურად კარგ შედეგებს აღწევს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის საქმეში.

პირუტყვის კვებისა და მოვლის გაუმჯობესებით, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ძროხისა და ყველა სახის პირუტყვის სულადობის გადიდებით უკანასკნელ ხანს აქ მკვეთრად გაზარდეს ხორცისა და რძის წარმოება. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 20 ივნისისათვის გადამეტებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მიმდინარე წლის გეგმა. ამ დროისათვის წლიური გეგმის ზევით დამზადებულია 40 ცენტნერი რძე.

შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს ხუთ თვეში კოლმეურნეობამ 206,4 ცენტნერით მეტი რძე მიიღო.

მაღლაკელმა მეცხოველეებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს აგრეთვე მერძეული და საბორცე პირუტყვის სულადობა ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე და სახნავზე. კოლმეურნეობას უკვე ამჟამად დიდი გადამეტებით აქვს შესრულებული პირუტყვის სულადობის წლიური გეგმა. საკოლმეურნეო ფერმებში ამჟამად 90 სულით მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ.

აღსანიშნავია, რომ ფერმაში კოლმეურნეები მთელი ოჯახებით მუშაობენ. მოწინავე მწველავმა საშა კვერნაძემ, რომელიც 25 წელიწადზე მეტია ფერმაში მუშაობს, მთელ ოჯახს შეაყვარა აქ მუშაობა. მისი მეუღლე გედევან კვერნაძე მწყემსია, ქალიშვილი ლენა — მწველავი, ხოლო სიძე გივი შარვაშიძე ფერმის ბრიგადირია. ასევე ოჯახებით მუშაობენ აქ მწველავები თამარ ქუთათელაძე, პოლინა დოლაბერიძე და ნორა ჭოლაძე.

მაღლაკელ მეცხოველეთა საქმიანობა მისაბაძია!

შ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატი

ჩაის ბუჩქები შეფენილია ხობის რაიონის ახალი ხიბულის ბუნებრივად ლამაზ და თვალწარმტაც გორაკებზე. ნაზ დუყებს ხალისიანად კრეფენ სახელოვანი მეჩაიეები. როცა ეცნობით მათს შრომათს საქმიანობას, არ შეიძლება არ შეამჩნიოთ ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატის მადარი ქიმკარაანის წარმატებათა ამსახველი ციფრები და ფაქტები.

... 1937 წელს დაამთავრა მადარიმ შვიდწლიანი სკოლა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ჩაის ხავერდოვან პლანტაციას მიაშურა.

— ჩაის ფოთოლს ბავშვობაში, მოწაფეობას დროსაც ვკრეფდი, — იგონებს იგი 20 წლის წინანდელ ამბავს. — მე კი მაშინ პლანტაციას ვინ მანდობდა, მაგრამ მაინც მოვითხოვე პატარა ნაკვეთი მოეჩინათ ჩემთვის მოსავლელად. ეს თხოვნა შემასრულეს.

და აი 14 წლის მადარი ბეჯითი შრომით ყველას ყურადღებას იპყრობს. გადის წლები და მადარი სულ უფრო სრულყოფილად ეუფლება ჩაის ფოთლის ჩქაროსნული მეთოდით კრეფას. 1947 წელს მისი მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა რაიონის ყველა მკრეფავის მიერ მოკრეფილს აჭარბებდა. სეზონში 0,3 ჰექტარი ფართობიდან 4 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო.

წელს მადარი იბრძვის 8 ათასი კილოგრამი ჩაისათვის. დღემდე მას 3.000 კილოგრამზე მეტი აქვს მოკრეფილი.

ქ. ქარაია.

მეტად დროული გადაწყვეტილების კასუხად

მიმდინარე წლის თებერვალსა და ივნისში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ მიღებული დადგენილებანი წარმოადგენენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების სამოქმედო პროგრამას.

პარტიის დიდი ზრუნვა აღფრთოვანებს მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს და მოუწოდებს მათ ახალი სასახელო შრომითი საქმეებისაკენ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

უკანასკნელ წლებში პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად რაიონში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გადიდდა საკოლმეურნეო დოვლათი, გაიზარდა შრომადღის ღირებულება, ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა.

1953 წელთან შედარებით გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 4,5 ცენტნერით მეტი მარცვლეული, აქედან სიმინდი 13,6 ცენტნერით მეტი. ამავე პერიოდში აღებულია 10 ცენტნერით მეტი ხილი, 25 ცენტნერით მეტი ყურძენი. ფულადი შემოსავალი კი გაიზარდა 5 მილიონი მანეთით.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და აგროტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგად რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა დიდად გაზარდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 20,5 ცენტნერი ხორბალი, რაც 16,3 ცენტნერით მეტია 1953 წლის მაჩვენებელზე. ამავე კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა დიდ ფართობებზე სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით. წილკნელებმა გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 54,3 ცენტნერი სიმინდი მიიღეს (მარცვლად). რესპუბლიკაში ფართოდ ცნობილმა კოლმეურნემ ბ. ცოციაშვილმა საშუალოდ ჰექტარზე 58,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

1953 წელთან შედარებით რაიონის მეცხოველეებმა თვითეული საფურაქე ძროხის პროდუქტიულობა 4,6-ჯერ გაზარდეს. გასულ წელს რაიონში თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 1.253 კილოგრამი რძე. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვის სულადობის, რძის წარმოებისა და ყველა სახის პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

მადალი წველადობისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს წილკნელმა მწველავებმა კომუნისტმა სოფიო ჭანაშვილმა და კომკავშირელმა გოგონებმა ლუდუშაურმა და გასანოვამ. თვითეულმა მათგანმა ყოველ საფურაქე ძროხაზე 4.200 კილოგრამი რძე მიიღო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებით აღფრთოვანებული ჩვენი კოლმეურნეები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ წელს კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვონ.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 14 ცენტნერი მარცვლეული, მათ შორის 30 ცენტნერი სიმინდი, 50 ცენტნერი ყურძენი, 35 ცენტნერი ხილი, 120 ცენტნერი ბოსტნეული, თვითეულ ძროხაზე მოწველილ 1.650 კილოგრამი რძე, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 175 ცენტნერი რძე და 31 ცენტნერი ხორცი.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში ვაცხოველებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, მთავრდება სიმინდისა და ბოსტნეულის მეორედ თოხნა, ამუშავებენ ვენახებსა და ბაღებს.

ამ დღეებში შერჩევით დავიწყეთ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. წელს ასაღებია 4.326 ჰექტარი ხორბალი და 255 ჰექტარი ქერი. გადაწყვეტილი გვაქვს მოსავლის დიდი ნაწილი ავიღოთ პროგრესული მეთოდით — ორ ფაზად. ამ მეთოდით უკვე აღებულია 60 ჰექტარი.

რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. გასული წლის მიღწევების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მიმდინარე წელს კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მოვიპოვებდით, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში შარშან სათანადო ყურადღება არ მიაქციეს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, რის შედეგადაც ზოგან მნიშვნელოვნად შემცირდა წველადობა და მომდინარე წლის პირველ ნახევარში წველადობის მხრივ გასული წლის მაჩვენებლებს ცოტა ჩამოვრჩით.

ამჟამად ყველა ზომას ვიღებთ, რომ წველადობაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში კვებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით მაღლა ავწიოთ პროდუქტიულობა, უზრუნველვყოთ ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებლად შესრულება.

ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფელში დაძაბული შრომის დღეებია, პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დარაზმონ კოლმეურნეთა მასები იმ უდიდესი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მშობლიურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ საკოლმეურნეო სოფელს დაუსახეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა მოსახლეობისათვის გაცნობის საკითხებზე ადგილებზე მოვაწყეთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების, ექტორებისა და ძირეული პრესის მუშაკების ზონალური თათბირები; ამ დღეებში მოვაწყეთ აგრეთვე აგიტატორთა და ლექტორ-მომხსენებელთა რაიონული თათბირი. შემუშავებულია ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კალენდარული გეგმები.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

გ. სეხნიაშვილი.
საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაკომის პირველი მდივანი.

ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის

ნავე კოლმეურნეობებმა დიდად გაზარდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 20,5 ცენტნერი ხორბალი, რაც 16,3 ცენტნერით მეტია 1953 წლის მაჩვენებელზე. ამავე კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა დიდ ფართობებზე სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით. წილკნელებმა გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 54,3 ცენტნერი სიმინდი მიიღეს (მარცვლად). რესპუბლიკაში ფართოდ ცნობილმა კოლმეურნემ ბ. ცოციაშვილმა საშუალოდ ჰექტარზე 58,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

1953 წელთან შედარებით რაიონის მეცხოველეებმა თვითეული საფურაქე ძროხის პროდუქტიულობა 4,6-ჯერ გაზარდეს. გასულ წელს რაიონში თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 1.253 კილოგრამი რძე. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვის სულადობის, რძის წარმოებისა და ყველა სახის პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

მადალი წველადობისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს წილკნელმა მწველავებმა კომუნისტმა სოფიო ჭანაშვილმა და კომკავშირელმა გოგონებმა ლუდუშაურმა

გაბურებული მკაა ალაზნის ველზე. გურჯაანის რაიონის კოლმეურნენი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი, თავიანთ ნაამაგარს — ხორბლის უხვ მოსავალს იმკიან. ოქროსფრად მოელვარე ყანებში „მინდვრის ხომალდები“ დაცურავენ. კალოებზე, საველე საშრობებში ყოველდღიურად ასობით ტონა პური მიაქვთ. აქ მას წმენდენ, ახარისხებენ, მანქანებზე ტვირთავენ და სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებსა და კოლმეურნეობათა საწყობებში გზავნიან.

ბაკურციხის კოლმეურნეობაში დიდი გამოცოცხლებაა, კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა მინდვრად არის გასული. ყველას საქმე გასჩენია. მექანიზატორი ილია ქუმსიაშვილი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს შეუფერხებლად ამუშავებს, ყოველდღიურად 300 ცენტნერამდე ხორბალს გზავნის კალოზე. წინა წლებში თვითმავალ კომბაინს ზოგნი იწუნებდნენ. კალერიან ბერიძე კი არც წინათ ემდუროდა თვითმავალს. ახლა კი დღე არ გავა, რომ 12-13 ჰექტარი არ მომკას. ეს დიდად აღემატება დაწესებულ ნორმას.

ბაკურციხელებმა უკვე ნი ჰექტარი მომკეს. ახალგაზრდებმა იმარჯვეს. მინდვრად არც ერთი თავი არ დაუტოვებიათ. მოზრდილებმა მინდვრიდან ნამჯა გამოზიდეს, ავტომანქანებითა და ურმებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში მიიტანეს და დაზვინეს. მექანიზატორებმა ნაწვერალზე სიმინდის თესვა გაიჩაღეს.

საველე აგიტპუნქტში

ნაჯაფი კოლმეურნეები საველე აგიტპუნქტში იხვენებენ. აგიტატორები თამარ ბეჟაშვილი, მარგო ქურთიაშვილი, დარიკო ჯადუგიშვილი და სხვები ყოველდღიურად მართავენ საუბრებს. მათი საუბრის თემებია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები“, „ქიმიური მრეწველობა — სოფლის მეურნეობას“, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის გზები“ და სხვ.

როცა აგიტპუნქტის გამგემ შ. მინდორაშვილმა კოლმეურნეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება გააცნო, წარინებულმა კოლმეურნემ ნ. გოხსაშვილმა განაცხადა:

— მშობლიურ კომუნისტურ პარტიას მადლობის მეტი ამბა რა ეკუთვნის! წელი კი არა, თვეც არ გავა ისე, რომ ახალი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება არ დასახოს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება მძლავრ სტიმულს გვაძლევს ს. [illegible]ლეურნეო დოვლათის შესაქმნელად. პარტიას ჭკნდეს ამედი, რომ ნაკურციხელები გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ.

სოფლის ლექტორიუმმა ამ დღეებში თავისი მუშაობა მინდვრად გადაიტანა. მასწავლებელმა სონია ჯანიკაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ქართული კულტურისა და ხელოვნების დიადი შედეგები“. მასწავლებელმა ზაქარია ბაშაშვილმა —„მასების როლი ისტორიაში“, ექიმმა ქ. ჯადუგიშვილმა — „როგორ მოვუარონ ავადმყოფს ოჯახში“. ექიმმა თინა ბანცელაძემ — „ტუბერკულოზი და მასთან ბრძოლა“.

30 ივნისს აგიტპუნქტში საველე გაზეთის მეშვიდე ნომერი გამოვიდა. მისი რედაქტორია ვერა მათიაშვილი. საველე გაზეთი აქებს ღირსეულთ, კიცხავს აქა-იქ შემორჩენილ ზარმაცებს.

საველე აგიტპუნქტის მახლობლად სამედიცინო პუნქტი მოუწყვიათ. ექიმის თანაშემწეები ლ. სალდაძე, თ. ჯადუგიშვილი, მ. ოსკანოვა და ზ. ქუმსიაშვილი ყოველთვის აქ არიან.

სასადილო ველად

პარტია დიდად აფასებს კოლმეურნე მექანიზატორთა შრომას, ამასთან მოითხოვს გაძლიერდეს მათზე მზრუნველობა. ბაკურციხის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე შ. ნიბლაძე) მოსავლის სწრაფად აღებისათვის ბევრი ღონისძიება განახორციელა. აი ერთი მათგანი. მექანიზატორებისათვის შეიძინა ხაძინებელი ვაგონი. ერთ განყოფილებაში საწოლებია გამართული, მეორეში კაბინეტი მოუწვიათ, მესამე განყოფილებაში კი პროდუქტებს ინახავენ. ვაგონის წინ საველე სასადილოა მოწყობილი. მზარეული ვლადიმერ ურუშაძე მექანიზატორებს და მკაზე მომუშავე კოლმეურნეებს ვემრილ კერძებს უმზადებს.

— საქმეზე ვატყობთ, — თქვა კომბაინერმა ი. ქუმსიაშვილმა, — რომ მტს-ების რეორგანიზაცია დიდი ამბავია. ავიღოთ თუნდაც ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები. წინათ ხშირად მომხდარა, რომ დღეში ერთხელ მოჭამდათ ხაჭეული. ყოფილა შემთხვევა პურისათვის შვიდ-რვა კილომეტრზე გაგვიგზავნია ვინმე ჩვენგანი. სულ სხვაა ახლა — არც ერთ მექანიზატორს სამდურავი არ ეთქმის.

ს. ჟოჟლაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის მზრუნველი ბ. ერუშაძე (მარცხნივ) მექანიზატორებს აწვდის კარს.

საკდესი უარყოფს

ფინეთში ფართოდ გავრცელებულმა გაზეთმა „ჰელსინგინ სანომატმა“, რომელიც უკვე დიდი ხანია გამოირჩევა ყოველგვარი ანტისაბჭოთა ცილისწამების გამოქვეყნებით, 29 ივნისს დაბეჭდა პროვოკატორ ა. ტუომინენის საზიზღარი ჭორი, თითქოს 1957 წელს მოსკოვში გამართულიყოს „თათბირი“, რომელზეც, მისი სიტყვების თანახმად, განიხილავდნენ ფინეთის საშინაო საქმეებში საბჭოთა არმიის ჩარევის გეგმას.

საკდესს დავალებული აქვს გადაჭრით უარყოს ეს ბინძური სიცრუე, რომელიც აშკარად გამოგონილია იმ მიზნით, რომ ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრულ ურთიერთობას. არა გვგონია, რომ ფინეთში მოიძებნებოდეს თუნდაც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი, რომელიც დაუჯერებდეს უაზრო ჭორს, რაც აღნიშნულმა ფინურმა გაზეთმა გამოაქვეყნა.

კოღონეთის სეიმის სესიამ მუშაობა დაამთავრა

ვარშავა, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში მუშაობა დაამთავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მესამე სესიამ. სახალხო სხდომაზე დეპუტატებმა მიიღეს მთელი რიგი კანონები.

სეიმმა დაამტკიცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი კულტურისა და ხელოვნების მინისტრის პოსტიდან კ. კურილიუკის გაწვევის შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით სეიმმა კულტურისა და ხელოვნების მინისტრად დაამტკიცა ტ. გალინსკი.

დაიხურა სრულიად პოლონეთის სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერაციის საბჭოს VI სესია

ვარშავა, 2 ივლისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, აქ მუშაობა დაამთავრა სრულიად პოლონეთის სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერაციის საბჭოს VI სესიამ. იგი მიეძღვნა გასულ წელს სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივების მიღწევათა განხილვას და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობის შემდგომი მიმართულება. სრულიად პოლონეთის საბჭო სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივების წინაშე სახავს ამოცანას გაძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ერთპიროვნულ გლეხთა შორის კოლექტიურ მეურნეობათა უპირატესობის შესახებ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნონ კოოპერატივში შესვლის ნებაყოფლობითი პრინციპი.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ჯაკარტა, 2 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ინდონეზიის მთავრობა ვერ დაფარავს გაკვირვების გრძნობას ჰოლანდიის მთავრობის გადაწყვეტილების გამო გაგზავნოს თავისი შეიარაღებული ძალების შენაერთები დასავლეთ ირიანში, როგორც ეს ოფიციალურად გამოცხადდა.

ჰოლანდიის მთავრობის ეს მოქმედება, ნათქვამია განცხადებაში, უეჭველია, მხოლოდ აღიდგენს დაძაბულობას ორი ქვეყნის ურთიერთობაში. თუ წინათ ინდონეზიის მთავრობა და ხალხი სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ დასავლეთ ირიანის საკითხში კონფლიქტის სამხედრო ასპექტს, ჰოლანდიის ამასწინანდელ მოქმედებას არ შეუძლია უფრო ფხიზელი არ გახადონ ისინი ამ საკითხში.

სავსებით ცხადია, განაგრძობს შემდეგ სუბანდრიო, რომ დასავლეთ ირიანში ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების გაძლიერება დიდ შეშფოთებას გამოიწვევს არა მარტო ჩვენს ხალხში, არამედ დასავლეთ ირიანის მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობაშიც, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მის უშიშროებას.

პრეზიდენტი ნასერი იუგოსლავიაში ჩავიდა

ბელგრადი, 2 ივლისი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით დღეს დუბროვნიკში ჩავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი.

ტექნიკურ ექსპერტთა თათბირი ჟენევაში

ჟენევა, 2 ივლისი. (საკდესი). ტექნიკური ექსპერტების თათბირის პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა: „პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ხრუშჩოვს შორის შეთანხმების შესაბამისად ნაშუადღევის 3 საათზე ერების სასახლეში გაიხსნა ტექნიკური ექსპერტების თათბირი ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შესაძლო შეთანხმების შესაძლო დარღვევების აღმოჩენის საშუალებათა შესასწავლად.

ტექნიკურ ექსპერტებს მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის განყოფილების დირექტორი ელჩი სპინელი, რომელმაც ექსპერტების განკარგულებაში გადასცა თავისი დაწესებულების საშუალებანი და მომსახურება.

სპინელის მისალმებას უპასუხეს დოქტორმა ფისკმა (ამერიკის შეერთებული შტატები), პროფესორმა ფეოდოროვმა (სსრ კავშირი). შემდეგ თათბირი გაგრძელდა დახურულ სხდომაზე“.

ჟენევა, 2 ივლისი. (საკდესი). გამოვიდა რა ატომგულის აფეთქების აღმოჩენის საშუალებათა შემსწავლელ ექსპერტთა თათბირზე, რომელიც გუშინ გაიხსნა ჟენევაში, ამერიკის დელეგაციის მეთაურმა ჯეიმს ბ. ფისკმა განაცხადა, რომ თათბირის მიზანია „ტექნიკური საფუძვლების შემუშავება მომავალში დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მისაღებად“.

საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოვიდა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. კ. ფეოდოროვი. მან განაცხადა: ჩვენი მხარის ტექნიკური ექსპერტები, კონსულტანტები და დელეგაციის მთელი შემადგენლობა, რომელშიც შედიან სსრ კავშირის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, მადლობას უხდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰატან ჰამარშელდს და აქ მის წარმომადგენლებს ბ-ნ სპინელისა და ბ-ნ ნარაიანს თავაზიანი ყურადღებისა და ამ თათბირის მუშაობის უზრუნველყოფისათვის ზრუნვის გამო.

— ჩვენ აქ განვიხილავთ ატომგულის აფეთქების აღმოჩენის სხვადასხვა მეთოდს და მიზნად გვაქვს შევიმუშაოთ კონტროლის შესაფერისი სისტემა ატომგულის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გადავჭრით გამოცდის შეწყვეტის საკითხს. ეს მთავრობათა საქმეა. საბჭოთა მთავრობამ უკვე გვიჩვენა კეთილშობილური მაგალითი ამ მხრივ. ვაკმაყოფილებთ რა დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილებს, ჩვენ, საბჭოთა მხარის ექსპერტები, მონაწილეობას ვიღებთ კონტროლის სისტემის განხილვაში, მიგვაჩნია რა, რომ ამ განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს საცდელი აფეთქების შეწყვეტას აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ.

აქ შეკრებილ ექსპერტებს, რომელთა შორის ჩვენ ვხედავთ და მივესალმებით ბევრ უდიდეს მეცნიერს, უფრო მეტად, ვიდრე ვინმე სხვას, ესმით როგორც ყველა ასპექტი ტრაგედიისა, რომელიც დაატყდება ხალხს თუ ატომურ იარაღს გამოიყენებენ საბრძოლო მოქმედებაში, ისე გამოცდების განგრძობით გამოწვეული დამღუპველი შედეგები ახლა მცხოვრებ ადამიანთა და შემდგომ თაობათა ჯანმრთელობისათვის.

წინათ მეცნიერების ადამიანებისათვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი კარჩაკეტილობა, იზოლაცია იმ საკითხებისაგან, რომლებიც საზოგადოებრიობას აღელვებენ. ამჟამად ყველა ქვეყნის მეცნიერნი სულ უფრო იმსჭვალებიან შეშფოთებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით იმისათვის, თუ როგორ იყენებენ პრაქტიკაში მათი შემოქმედების ნაყოფს, შეშფოთების გრძნობით იმის გამო, ადამიანთა საკეთილდღეოდ თუ საზიანოდ იქნება გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი წლების უდიდესი მიღწევანი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის ეს შეგნება დაგვეხმარება ჩვენ და ჩვენს კოლეგებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან და კანადიდან გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 2 ივლისი. (საკდესი). ერთი დღითაც არ ცხრება ალჟირში ბრძოლები საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის. ამ ბოლო დროს, საფრანგეთის პრესის ცნობით, მედგარი შეტაკებები მოხდა ორესის მთის რაიონში, კონსტანტინის დეპარტამენტის სამხრეთით, აგრეთვე ტლემსენის და ტიზი-უზუს (ორანის დეპარტამენტი) მახლობლად. ამ ბრძოლებში ფრანგების სარდლობა ფართოდ იყენებს ავიაციას. ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს პაერში ერთმანეთს დაჯახებენ ვერტმფრენი და ავიაგამანადგურებელი, დაიღუპა ეკიპაჟის 11 წევრი.

დიდ აქტივობას იჩენენ ალჟირელი პარტიზანები. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში მათ ფერდობზე გადაადგეს მატარებელი ორან-ალჟირის ხაზზე და სატვირთო შემადგენლობა ბლიდიდან 20 კილომეტრის დაშორებით. ამავე პერიოდში პარტიზანებმა არაერთხელ დაუშინეს ცეცხლი სამხედრო სატვირთო მანქანებსა და ფრანგთა სამხედრო რაზმებს. 1 ივლისს ძლიერი აფეთქება მოხდა ქალაქ ალჟირის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე.

ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც გამოაქვეყნა საფრანგეთის ჯარების სარდლობამ ალჟირში, აღნიშნულია, რომ 22-დან 29 ივნისამდე აჯანყებულებს ბრძოლებში მოუკლეს 613 კაცი. საფრანგეთის ჯარების დანაკლისის შესახებ ცნობები არ არის.

ალჟირის სამხედრო ხელისუფალნი განაგრძობენ რეპრესიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. ამ დღეებში ქალაქ ალჟირის სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ორ ალჟირელს; სიკვდილის სამი განაჩენი გამოიტანა ქალაქ ბონის სამხედრო ტრიბუნალმა. ორანში ამჟამად მიმდინარეობს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციის 80 წევრის პროცესი.

რეპრესიებს მიმართავენ აგრეთვე იმ ალჟირელთა წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ. პარიზის პოლიციის პრეფექტმა პაპონმა გამოაცხადა, რომ პარიზსა და მის გარეუბნებში ბულონში, ნანტერსა და პიუტოში პოლიციისა და ჟანდარმერიის ძალებით ხორციელდება ალჟირელთა პერიოდული ჩხრეკა-დაპატიმრება „პირადობის შემოწმების“ მიზნით. მიმდინარე წლის ექვს თვეში, თქვა პაპონმა, პოლიციამ დაკითხა 22 ათასი ალჟირელი. 1242 კაცი სამხედრო ტრიბუნალის სამართალში იქნა მიცემული ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერისათვის.

ალჟირში ომის განგრძობა საფრანგეთის ბევრი საზოგადო მოღვაწისა და სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციის პროტესტებს იწვევს. გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს იუწყება, რომ 38 ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მათ შორის კლოდ ბურდემ, ჟან-მარი დომენაკმა, ლეონ ფეიქსმა, ჟაკ მადოლმა, ადმირალმა მულუკმა, ანდრე ფილიპმა და სხვებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ალჟირში იმ მიზნით, რომ იქ დამყარდეს მშვიდობა.

ლიბანის თავდაცვის სამინისტროს კომუნიკე

ბეირუთი, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ლიბანის თავდაცვის სამინისტროს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ვანგლილ დღეღამეში ლიბანის არმიის ნაწილები განაგრძობდნენ ბრძოლას აჯანყებულთა წინააღმდეგ ლიბანის ბევრ რაიონში.

კვლავ შეუპოვარი ბრძოლებია ქალაქ ტრიპოლში. ქალაქის ბევრ რაიონში აჯანყებულები მიადგნენ არმიის პოზიციებს და ხელის გრანატები დაუშინეს. აჯანყებულებმა მოიგერიეს მათ წინააღმდეგ წამოსული ტანკების იერიშები.

ლიბანის სამხრეთ ნაწილში აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს არმიის პოზიციებზე ქალაქ ტირში. ბრძოლები მიმდინარეობდა აგრეთვე დასახლებულ პუნქტებში დაჰრ ელ-მაგრსა და დაატურში (ლიბანის ჩრდილოეთი ნაწილი).

როგორც ლიბანის პრესა იუწყება, განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა გუშინ შუფის მთიან რაიონში, სადაც აჯანყებულები ჯუმბლატის ხელმძღვანელობით წარმატებით მიიწევენ ბეირუთისაკენ. ჯუმბლატის შემტევი რაზმების წინააღმდეგ მთავრობამ გაგზავნა ტანკები, ავიაცია და არტილერია. როგორც პრესა იუწყება, გუშინ ლიბანის მინისტრთა საბჭომ განიხილა მდგომარეობა იმასთან დაკავშირებით, რომ აჯანყებულები უტევენ ბეირუთს.

შედგენილია იტალიის ახალი მთავრობა

რომი, 2 ივლისი. (საკდესი). ახალი პარლამენტის არჩევნებთან და წინანდელი მთავრობის გადადგომასთან დაკავშირებით ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მდივან ფანფანის წინადადება მიეცა შეედგინა იტალიის ახალი მთავრობა.

როგორც პრესა იუწყება, გუშინ საღამოს ფანფანი ეწვია იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ გრონკის და წარუდგინა მას ახალი მთავრობის წევრთა სია, რომელიც შედგება ქრისტიან დემოკრატთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. ახალ მთავრობაში მინისტრთა მთავარი პოსტები უკავიათ ქრისტიან დემოკრატთა პარტიის წევრებს. კაბინეტში შედის აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოთხი წარმომადგენელი.

იტალიის ახალი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრია ფანფანი (ქრისტიანი დემოკრატი). უახლოეს დროში მთავრობის ახალი შემადგენლობა მოსაწონებლად გადაეცემა პარლამენტს.

ახალი კაფე-რესტორანი ვაკის პარკში

ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავის საიუბილეო თარიღის წინ თბილისელებმა მიიღეს ახალი საჩუქარი— კაფე-რესტორანი ვაკის ახალ პარკში.

ვაკის პარკი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. წარმტაცი ლანდშაფტი, საუცხოოდ გაშენებული პარკი, აგრეთვე მრავალნაირი და მოხერხებული სატრანსპორტო კავშირი ყველა პირობას ქმნის ჩვენი ქალაქის მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის. სწორედ ამის გამო არჩეულ იქნა ფართობი ვაკის პარკში კაფე-რესტორანის ასაშენებლად.

პროექტის ავტორია არქიტექტორი ზ. თავართქილაძე (საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზგიპროტორგის“ კავკასიის ფილიალი). ნაგებობის არქიტექტურულ-სივრცობრივი კომპოზიცია კარგად არის შეხამებული პარკის სხვა შენობებთან.

კაფე-რესტორანის შიდა დაგეგმარება გადაწყვეტილია ბუნებასთან მაქსიმალურად მიახლოების გათვალისწინებით, რასაც ხელს უწყობს გარეთ გამოტანილი მაგიდები გადახურული ტერასის, აგრეთვე ქოლგების ქვეშ.

შუშის გასახსნელი კედლების დიდი სიბრტყეები ნაგებობას მსუბუქსა და მოხდენილს ხდის, ხოლო კედლების შუშის ხვრცეთა ფერადი შეხამება ცოკოლის ნაწილის შავ მარმარილოსთან მხატვრული გამომსახველობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და გარკვეულ ხილვაზეს აძლევს კაფე-რესტორანის გარეგან სახეს.

სამზარეულოს სათავსი, რომელსაც დიდი გადასაწევი ფანჯრები აქვს, სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ მომხმარებელმა თვალი ადევნოს წარმოებას, რაც უეჭველად დადებითი ფაქტორია და გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომის კულტურას.

კაფე-რესტორანი ზამთრის დარბაზით და მომიჯნავე დახურული ტერასებით გაანგარიშებულია 150 ადგილისათვის, მოხერხებულად გადაწყვეტილი ტექნოლოგიური სქემით.

სასურველად მიგვაჩნია ასეთი კაფე-რესტორანები მოეწყოს ავტოგზებზეც, სადაც ავტობუსების რეგულარული მოძრაობაა დიდ მანძილზე და სულ უფრო მატულობს, საკუთარი ავტომანქანების მქონე ტურისტთა რაოდენობა.

ინჟინერი ა. შაროიანი.

ШЕМОЧМЕДЕБИТИ УМАЦЛЕСИ САСНАВЛЕБЛЕБИС КУРСЛАМАТАВРЕБУЛТА САЦАМО

ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ და საქართველოს ალკა თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო მოაწყეს. ეს საღამო საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი იყო მიძღვნილი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კომახიძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ო. ნემსაძე, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კულტურის სექტორის ინსტრუქტორი ზინაიდა კასნოვა, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი უ. ჯაფარიძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ეგაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით პროფესორი პ. ხუტუა, თეატრალური ინსტიტუტის სახელით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ფაღავა და თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა სახელით ნ. ჭიპაშვილი.

ფასიანი საჩუქრებით და ალკკ რაიკომის სიგელებით დაჯილდოებულ იქნენ საუკეთესო კურსდამთავრებულნი: ირაკლი გორდელაძე, ზაირა ლებანიძე, დიმიტრი მაპავარიანი, გივი ჭიჭინაძე და ისაკი ათანელოვი. დასასრულ სახელმწიფო კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.



თბილისი. ახალი სკვერი ლენინის სახელობის მოედანთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისური ლიმონათი

ზაფხულის ცხელ დღეებში მეტად სასიამოვნო დასალევია თბილისური ლიმონათი, რომელიც ფართოდ გასთქმულია ჩვენს ქვეყანაში. მას უშვებს თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანა. აქ მზადდება სხვადასხვა მაღალხარისხოვანი ხილის — მსხლის, ლიმონის, ვაშლის, მანდარინის, ფორთოხლის, შინდის, ალუბლის ლიმონათი, ლიმონათი „თბილისი“, „სიტრო“, „კრუშონი“, „კრემ-სოდა“, რომელთა გამოშვება ქარხანაში მიმდინარეობს უალკოჰოლო სასმელების ცნობილი ოსტატების — ძმები მიტროფანე და მიხეილ ლაღიძეების ხელმძღვანელობით.

თბილისის ქარხნის უალკოჰოლო სასმელებმა შორს გაითქვეს სახელი. აი რას სწერს წყნარი ოკეანიდან მიხეილ ლაღიძეს ვეშაპ-სანადირო ფლოტილია „სლავას“ კაპიტან-დირექტორი ა. სოლიანიკი: „ახალ ზელანდიაში ყოფნის დროს ველინგტონის ნავსადგურში ვეშაპ-სანადირო ბაზაში ჩვენ ბევრი სტუმარი გვეწვია, მათ შორის იქაური გამოჩენილი მეცნიერები, დიპლომატები, მთავრობის წევრები, ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი უოლტერ ნაში. უკლებლივ ყველა სტუმარს მოეწონა თქვენი კოლექტივის მიერ დამზადებული ხილის წყლები, მათ თქვეს, რომ ისინი საუკეთესოა მსოფლიოში... სასურველია, რომ უალკოჰოლო სასმელების დამზადების თქვენს უდიდეს გამოცდილებას გადასცემდეთ ოდესის ეკონომიურ რაიონს“. ეს ერთეული შემთხვევა როდია. მადლობის ბევრ წერილს იღებს ამ ქარხნის კოლექტივი.

ეს ქარხანა ერთადერთი საწარმოა თბილისში, რომელიც ამზადებს ბურახს. ყოველდღიურად ქალაქში იყიდება 15-20 ტონა ბურახი. აქ მზადდება აგრეთვე მშრალი ყინული, ნახშირმჟავა გაზი, სელტერის წყალი, სხვადასხვა ხილის სიროპები და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის გარდა, ნახშირმჟავა გაზის მომხმარებელია სომხეთის სს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კავკასიის უალკოჰოლო სასმელების საწარმოები; სიროპები დიდი რაოდენობით იგზავნება მოსკოვში საქვაპრობის მაღაზია „საქართველოში“. მშრალ ყინულს იყენებენ სანაყინე საწარმოები და ზოგიერთი ინსტიტუტი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ქარხნის კოლექტივი ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით. საუკეთესოდ მუშაობენ და ქარხანაში ლაღიძეების კარგ მოწაფეებად ითვლებიან ა. ლორთქიფანიძე და ჟ. კაიშაური, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ სიროპისა და ლიმონათის დამზადების ტექნოლოგიას.

საწარმოს კოლექტივი ვარაუდობს თბილისის 1500 წლისთავისათვის გამოუშვას 7 ახალი სახის მაღალხარისხოვანი, ლამაზი ეტიკეტებით გაფორმებული უმაღლესი ხარისხის ლიმონათი, დიდი რაოდენობით ლიმონის ნატურალური წვენი ნახევარლიტრიანი ბოთლებით. გარდა ამისა, ტარდება ცდები სხვადასხვა ხილის წვენის, მათ შორის ვაშლის დაგაზული წვენის გამოსაშვებად.

სპორტი

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ოთხეულის სასახლეში

ველ ბოსკოლის ს. ძ. ლენინის სახელობის სტადიონის სპორტის სასახლეში საზეიმოდ აღმართავენ მსოფლიო პირველობის გათამაშების ალამს სპორტულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 24 ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები.

ეს შეჯიბრება მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი დიდი ასპარეზობა და სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეები მსოფლიოში უძლიერესი არიან, ამიტომ მათ პირველობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლიან. ტანმოვარჯიშეთა ძლიერი კოლექტივი ჰყავს აგრეთვე იაპონიას და ზოგიერთ სხვა ქვეყანას.

რამდენიმე დღეა მოსკოვში იმყოფებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ეგვიპტის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ტანმოვარჯიშეები. ამის წინათ მოეწყო წილისყრა. პირველი ორი დღე დაეთმობა სავალდებულო ვარჯიშს, მომდევნო ორი დღე — ნებისმიერს. პირველ ექვს ადგილზე გამოსულთა დასკვნით შეხვედრები მოეწყობა უკანასკნელ დღეს.

სტუდენტთა ასპარეზობა

თბილისის სასპორტო ბაზებზე გრძელდება აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და საქართველოს სტუდენტთა ზონალური შეჯიბრება.

1 ივლისს დამთავრდა შეჯიბრება ძალოსნობაში. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შტანგისტთა კოლექტივმა.

საშუალო წონის შტანგისტმა კ. ბაზაძემ ორი ხელით აწიმუშავა 115 კილოგრამი აჩვენა და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მოკრივეთა და მცურავთა ასპარეზობა. კრივში უძლიერესი იყვნენ სომხეთის სპორტსმენები, რომლებმაც გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს, ხოლო ცურვაში — აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

ტანმოვარჯიშეთა შეხვედრები დამთავრდა საქართველოს სპორტსმენების გამარჯვებით. შეჯიბრება მაღალი შედეგებით დაამთავრეს ქალებიდან გ. შარაბიძემ, ვაჟებიდან — რ. კაკახიძემ.

ფეხბურთი

2 ივლისს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენთა კოლექტივები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

* * *

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები ჩაებნენ სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად გამართულ ბრძოლაში. 2 ივლისს ქუთაისში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ შეხვდა სტალინგრადის „მტელურგს“. მატჩის შედეგია 1:0 ლოკომოტიველთა სასარგებლოდ.

* * *

გრძელდება საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

პირველ ზონაში ლიდერობას ინარჩუნებს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელსაც 12 თამაშიდან 19 ქულა აქვს. მეორე ზონაში წინ არიან ქუთაისის „ტორპედოსა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ გუნდები. თვითეულ მათგანს 13 თამაშიდან 17 ქულა აქვს.

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს 1958-59 სასწავლო წელს სტუდენტთა მიღებას:

ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ფაკულტეტებზე (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

ინსტიტუტში შემსვლელნი, მათ შორის ოქროს და ვერცხლის მედალოსნები, აგრეთვე სპეციალური სასწავლებლის ფრიადოსნები და ის ტექნიკუმდამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვედრილი არიან გამოშვების 5%-ში, აბარებენ მისაღებ გამოცდებს ორივე ფაკულტეტის ქართულ სექტორზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ფიზიკაში, 3. ქიმიაში და 4. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (შემოწმებითი გამოცდა).

რუსულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ: 1. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ფიზიკაში და 3. ქიმიაში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე ა. წ. 31 ივლისამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები 1. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარადგენება პირადად).

დიდი სამამულო ომის მონაწილენი ადგენენ აგრეთვე ცნობას რაისამხედრო კომისარიატიდან ან შემოწმებულ ამონაწერს სამხედრო ბილეთიდან, რომლებიც ადასტურებენ დიდ სამამულო ომში მონაწილეობას.

4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, 3×4 სმ.), 5. საბუთი მუშაობის პრაქტიკული სტაჟის შესახებ.

საწარმოო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება საწარმოს (დაწესებულების) მიერ შემოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, კოლმეურნეთათვის კი ცნობა, გაცემული კოლმეურნეობის შრომის წიგნაკის საფუძველზე, დამტკიცებული გამგეობის მიერ. ცნობაში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა ინსტიტუტში შემოსვლის წინა ორი წლის მანძილზე, თვითეული წლისა ცალცალკე, აღნიშნულ კოლმეურნეობაში შრომადღეთა სავალდებულო მინიმუმის ჩვენებით. ცნობის სინამდვილე დამოწმებული უნდა იყოს აუცილებლად რაიალმასკომის მიერ.

6. დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, ხელმოწერილი ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. დახასიათებაში ყოველმხრივ უნდა იყოს გაშუქებული პიროვნების შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

7. სამედიცინო ცნობა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის (ფორმა № 286), გაცემული სკოლის ან უბნის ექიმის მიერ.

8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები ა. წ. 1 აგვისტოდან. ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1958 წელს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის საერთო წესების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, მიმღებ კომისიაში 12-დან 17 საათამდე. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 13.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი (მე-5 აბ. მე-10 წარმ.), **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **ფილარმონიის ხაზაფხულო** — „სიცილიაცრემლებიც. სიყვარულიც“ (ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის სპექტაკლი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (**საზაფხულო**) — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, **ამირანი** (საზამთრო) — „1918 წელი“, **ამირანი** (საზაფხულო), **იხანი** (საზაფხულო), **კომკავშირელი, საქართველო** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი** — შავი ზღვისაკენ, **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი** — ბედნიერი წისქვილი, **იხანი** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ქორწინება ანგარიშით, **თბილისი** — თოლიები კვდებიან ნავსადგურში, **26 კომისრის სახელობის